განკარგულება:**გ-63. 632418317**
თარიღი:**01/07/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (660.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.45.550) არსებული №1 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი 445.6 კვ.მ), სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში 1-ლი ქუჩა №5-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (486.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.03.257) არსებული №1 შენობა-ნაგებობის და ქალაქ სამტრედიაში, კალანდარიშვილის ქ. №7-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (2223.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.148) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 590.70 კვ.მ და №2 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 24.00 კვ.მ) პრივატიზების შესახებ, განმეორებითი პირობიანი ელექტრონული აუქციონისთვის საფასურის შემცირების (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით) თაობაზე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (660.00 კვ.მ) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.45.550) არსებული №1 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი 445.6 კვ.მ) და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში 1-ლი ქუჩა №5-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (486.00 კვ.მ) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.03.257) არსებული №1 შენობა-ნაგებობის პრივატიზების შესახებ გამოცხადებული ელექტრონული აუქციონების შედეგად არ მოხდა აღნიშნული ქონების განკარგვა.

ქალაქ სამტრედიაში, კალანდარიშვილის ქ. №7-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (2223.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.148) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 590.70 კვ.მ და №2 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 24.00 კვ.მ) პრივატიზების შესახებ გამოცხადებული ელექტრონული აუქციონების შედეგად არ მოხდა აღნიშნული ქონების განკარგვა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს მე–2 მუხლის ,,ო“–ქვეპუნქტის განმეორებითი აუქციონი იმართება იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდა აუქციონის ფორმით გატანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა და ამ ქონების აუქციონზე გატანა ხდება შეცვლილი პირობებით და ფასით, ხოლო მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, თუ არ მოხდება ელექტრონული აუქციონის ფორმით გატანილი

მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, ეს ქონება შესაძლებელია, გატანილ იქნეს საპრივატიზებოდ ელექტრონულ აუქციონზე, შეცვლილი საწყისი საპრივატიზებო საფასურით ან/და პირობებით. ასეთ შემთხვევაში, აუქციონი ჩაითვლება განმეორებით ელექტრონულ აუქციონად. განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური შეიძლება შემცირდეს 50%-მდე. თუ მუნიციპალიტეტის ქონება ამ საფასურად გამოტანის შემდეგაც არ გაიყიდა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ხოლო თბილისის შემთხვევაში, აღმასრულებელი ორგანოს მიერ, საფასური შეიძლება კიდევ შემცირდეს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის მე–2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს მე-13 მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად, განიხილა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (660.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.45.550) არსებული №1 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი 445.6 კვ.მ), სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში 1-ლი ქუჩა №5-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (486.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.03.257) არსებული №1 შენობა-ნაგებობის და ქალაქ სამტრედიაში, კალანდარიშვილის ქ. №7-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (2223.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.148) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 590.70 კვ.მ და №2 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 24.00 კვ.მ) პრივატიზების შესახებ, განმეორებითი პირობიანი ელექტრონული აუქციონისთვის საფასურის შემცირების (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით) საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1.1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (660.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.45.550) არსებული №1 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი 445.6 კვ.მ) და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში 1-ლი ქუჩა №5-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (486.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.03.257) არსებული №1 შენობა-ნაგებობის პრივატიზება განხორციელდეს, განმეორებითი პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით.

1.2. განმეორებით პირობიან ელექტრონულ აუქციონზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (660.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.45.550) არსებული №1 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი 445.6 კვ.მ) და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში 1-ლი ქუჩა №5-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (486.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.03.257) არსებული №1 შენობა-ნაგებობის საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 5000 (ხუთიათასი) ლარი.

1.3. განმეორებით პირობიან ელექტრონულ აუქციონზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (660.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.45.550) არსებული №1 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი 445.6 კვ.მ) და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში 1-ლი ქუჩა №5-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (486.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.03.257) არსებული №1 შენობა-ნაგებობის ბიჯის ოდენობად განისაზღვროს 200 (ორასი) ლარი.

1.4. განმეორებით პირობიან ელექტრონულ აუქციონზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (660.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.45.550) არსებული №1 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი 445.6 კვ.მ) და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში 1-ლი ქუჩა №5-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის

ნაკვეთზე (486.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.03.257) არსებული №1 შენობა-ნაგებობის საგარანტიო თანხის ოდენობად განისაზღვროს 2000 (ორიათასი) ლარი.

1.5. პირობად განისაზღვროს, რომ:

1.5.1. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანა უნდა განახორციელოს აუქციონში გამარჯვებულმა პირმა.

1.5.2. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ხარჯები გაწეულ უნდა იქნეს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ.

1.5.3. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ვადად განისაზღვროს 90 (ოთხმოცდაათი) დღე. აღნიშნული 90 (ოთხმოცდაათი) დღიანი ვადა აითვალოს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონის შედეგად განსაზღვრული ღირებულების სრულად გადახდის დღიდან.

1.5.4. პირობიან ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2.1. ქალაქ სამტრედიაში, კალანდარიშვილის ქ. №7-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (2223.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.148) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 590.70 კვ.მ და №2 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 24.00 კვ.მ) პრივატიზება განხორციელდეს გენმეორებითი პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით.

2.2. განმეორებით პირობიან ელექტრონულ აუქციონზე, ქალაქ სამტრედიაში, კალანდარიშვილის ქ. №7-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (2223.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.148) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 590.70 კვ.მ და №2 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 24.00 კვ.მ) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს **1000 (ერთი ათასი)** ლარი.

2.3. განმეორებით პირობიან ელექტრონულ აუქციონზე, ქალაქ სამტრედიაში, კალანდარიშვილის ქ. №7-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (2223.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.148) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 590.70 კვ.მ და №2 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 24.00 კვ.მ) ბიჯის ოდენობად განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლარი.

2.4. განმეორებით პირობიან ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, კალანდარიშვილის ქ. №7-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულ,ების მიწის ნაკვეთზე (2223.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.148) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 590.70 კვ.მ და №2 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 24.00 კვ.მ) საგარანტიო თანხის ოდენობად განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარი.

2.5. პირობად განისაზღვროს, რომ:

2.5.1. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანა უნდა განახორციელოს აუქციონში გამარჯვებულმა პირმა.

2.5.2. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ხარჯები გაწეულ უნდა იქნეს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ.

2.5.3. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ვადად განისაზღვროს 30 (ოცდაათი) დღე. აღნიშნული 30 (ოცდაათი) დღიანი ვადა აითვალოს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონის შედეგად განსაზღვრული ღირებულების სრულად გადახდის დღიდან.

2.5.4. პირობიან ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების

გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი